ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №30

08.06.2023 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

**გარემოს დაცვის კომისიის წევრები:** ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ლევან ჯაფარიძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ირაკლი ეძგვერაძე, ვახტანგ სურგულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

**გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა:** ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 25 მაისის №12-032314571-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 1-ელი ივნისის №12-032315218-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 5 ივნისის №12-032315638-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. **მიმდინარე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 7 ივნისის №12-032315836-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

**მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 25 მაისის №12-032314571-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგის პირველი** საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

საკითხის განხილვამდე კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2023 წლის 25 მაისს, **№12-032314548-03 წერილით** განსახილველად გადმოგზავნილ იქნა იდენტური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელსაც თან არ ახლდა სრულყოფილი მასალა. შესაბამისად, კომისიის სხდომაზე განიხილება **№12-032314571-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სრულყოფილი თანდართული მასალით.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 24 მაისის №23.749.837 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №01230954134-67; №01230901585-67; №01231224208-67; №01231363096-67; №01231362525-67; №01231391804-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01230954134-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.129) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა

1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა სკოლის განთავსების არეალში.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება - ახალი სასწავლო ბლოკის მშენებლობა.

სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) არის სპეციალური ქვეზონა, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს. სპეციალური ზონა 1-ში (სპეცზ-1) დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 6 აპრილის №01230963591 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) ასაშენებელი სკოლის განთავსების არეალზე.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის №4/27952 წერილის შესაბამისად, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლე) და შპს „მწვანე სკოლა - დიდი დიღომი"-ს (ს/ნ: 211357020, ყოფილი: შპს „ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვები") შორის 2011 წლის 19 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (მასში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) თანახმად, მყიდველს ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით გადაეცა №01.10.06.006.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონება.

ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის, №01.10.06.006.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება და მისთვის საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება მუდმივად (მუხლი 3.1.2).

ამდენად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი, განხორციელდეს №01.10.06.006.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონებისთვის ფუნქციური ზონის ცვლილება, იმ პირობით, რომ ხელი არ შეეშლება ხელშეკრულებით ნაკისრი, ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.006.129) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა სკოლის განთავსების არეალში, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „მწვანე

სკოლა - დიდი დიღომი“-ს (ს/ნ: 211357020) შორის 2011 წლის 19 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით (მასში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) გათვალისწინებული ვალდებულების (ქონების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება და მისთვის საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება მუდმივად) შესრულების პირობით.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01230901585-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, გურამ თოფჩიშვილის ქუჩა №2-ის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.021.412) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის ლეგალიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 19 აპრილის №0123109247 წერილის შესაბამისად, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობის ნაწილზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება დავით აღმაშენებლის ქუჩის გასწვრივ, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე არეალზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, გურამ თოფჩიშვილის ქუჩა №2-ის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.021.412) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01231224208-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.03.505) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 5 მაისის №01231253790 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) ფენის მოხსნა საპროექტო არეალის (საკადასტრო კოდი: №81.02.03.505) სამხრეთ-დასავლეთით (საკადასტრო კოდი: №81.02.28.063), სამხრეთ-აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი: №81.02.03.536) და აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი: №81.02.28.002) მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.03.505) და, ასევე, მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №81.02.28.063, №81.02.03.536, №81.02.28.002) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01231363096-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.311)

მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ბენზინ/დიზელ გასამართი სადგურის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 28 მარტის №16-01230872435 წერილის შესაბამისად, №81.08.28.311 საკადასტრო ერთეულზე არის შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

ამასთან, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიასა და ფაქტობრივად არსებულ გზას (სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1)) შორის არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე გავრცელებული სამრეწველო ზონა 1 (ს-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2).

ამასთან, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე გავრცელებულია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენა, რომელიც ვრცელდება ფაქტობრივად არსებულ მწვანე ნარგავებზე. შესაბამისად, აღნიშნული გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენა რჩება უცვლელად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.311) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე; თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01231362525-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში ემირ ბურჯანაძის ქუჩა №108-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.32.002.096) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს №01.19.32.002.096 საკადასტრო ერთეულის პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 24 მაისის №0123144370 წერილის შესაბამისად, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ტერიტორიაზე, რომელსაც ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, კერძოდ, ჩრდილოეთით №01.19.32.002.008 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და სამხრეთ-აღმოსავლეთით №01.19.32.002.094 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში ემირ ბურჯანაძის ქუჩა №108-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.32.002.096) და ასევე, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით №01.19.32.002.008 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და სამხრეთ-აღმოსავლეთით №01.19.32.002.094 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ემგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01231391804-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში სერგო დურმიშიძის ქუჩა №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.061.003) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს №01.17.08.061.003 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ - 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დარეგისტრირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 24 მაისის №0123144629 წერილის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი ღობის ნაწილზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.17.08.061.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში სერგო დურმიშიძის ქუჩა №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.17.08.061.003) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ემგვერაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 25 მაისის **№12-032314571-03(№12-032314548-03)** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01230954134-67; №01230901585-67; №01231224208-67; №01231363096-67; №01231362525-67; №01231391804-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 1-ელი ივნისის №12-032315218-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 31 მაისის №23.774.872 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №01231353301-67; №012313274-67; №0123135849-67; №01231431158-67; №01231431087-67; №01231183713-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01231353301-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში დაბა კოჯორში, იუნკერების ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.81.01.201.005) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 29 მაისის №01231491348 წერილის შესაბამისად, სამსახურს წარმოდგენილ მიწის ნაკვეთის ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება შესაძლებლად მიაჩნია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო

ტერიტორიის მიღმა დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (სატრანსპორტო ზონა 1-სა (ტზ-1) და საპროექტო ტერიტორიას შორის) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში დაბა კოჯორში, იუნკერების ქუჩა №9-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.81.01.201.005) არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე; თავი შეიკავა - ირ. ემგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№012313274-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბეჟანიშვილის ქუჩა №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.005.001) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა.

№01.12.12.005.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს უკვე დადგენილ (განცხადების ნომერი: AR1961856) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური №60-01231233554 წერილით აფიქსირებს შემდეგ პოზიციას: ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის" გრაფიკული ნაწილის - რუკის გათვალისწინებით, აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების არეალი, სამსახურის მიერ დაფიქსირებული დადებითი პოზიცია მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვასთან დაკავშირებით ძალაში შევა მას შემდეგ, რაც საპროექტო ტერიტორიას მოეხსნება შიდა კვარტალური ურბანული გამწვანების ფენა.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 17 მაისის №01231373271 წერილით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის

გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიღმა (№01.12.12.005.015-ის ნაწილზე) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბეჟანიშვილის ქუჩა №11-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.005.001; №01.12.12.005.015-ის ნაწილზე) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე; თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№0123135849-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.01.555) მოთხოვნილია ძირითადი რუკით არსებული სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) გავრცელება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს №81.02.01.555 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სააგარაკე დასასვენებელი სახლის მშენებლობა, რაც მოთხოვნილ სარეკრეაციო ზონა 3-ში (რზ-3) წარმოადგენს საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას.

სპეციალური ზონალური შეთანხმების საფუძველზე, მიმდებარედ და მომიჯნავედ გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) გავრცელების არეალში მიწის ნაკვეთებზე გაცემულია მშენებლობის ნებართვები, შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მოხდება განაშენიანების სტრუქტურის ლოგიკური გაგრძელება და საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ჩამოყალიბება.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 24 მაისის №012314498 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელდეს გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.01.555) ძირითადი რუკით არსებული სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) გავრცელება მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ემგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01231431158-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიღომში (ქოშიგორა) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.066.551) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ-2) მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.066.551) დიდ ნაწილზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 23 მაისის №01231433180 წერილით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო

ტერიტორიის მიღმა არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

**კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით, მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება, ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით, გადადებულ იქნას.**

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01231431087-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიღომში (ქოშიგორა) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.066.550) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ-2) მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.066.550) დიდ ნაწილზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 23 მაისის №01231433176 წერილით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიღმა არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით, მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება, ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით, გადადებულ იქნას.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

**(შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ემგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01231183713-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ დიდებაში, ბეთანიის ტერიტორიაზე (ნაკვეთი №432) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.28.011.002) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით, საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.81.28.011.002) დიდ ნაწილზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 29 მაისის №01231493560 წერილით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა (სატყეო ზონა).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ დიდებაში, ბეთანიის ტერიტორიაზე (ნაკვეთი №432) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.81.28.011.002) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

**(შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ემგვერაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას:**
   - ქალაქ თბილისში, დიღომში (ქოშიგორა) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.066.551) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ-2) მოხსნის წინადადება (**№01231431158-67 განცხადება**);
   - ქალაქ თბილისში, დიღომში (ქოშიგორა) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.066.550) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ-2) მოხსნის წინადადება (**№01231431087-67 განცხადება**).
2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 1-ელი ივნისის **№12-032315218-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01231353301-67; №012313274-67; №0123135849-67; №01231183713-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 5 ივნისის №12-032315638-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ზაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ზაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და

სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 1-ელი ივნისის №23.791.876 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №01230243872-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314564); №01230794279-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314555); №01223263143-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314561); №01223503235-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314558); №01223611235-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314556)).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01230243872-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314564) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ქალაქ თბილისში, ნაფეტვრებისაკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.131; №01.14.06.004.002-ის ნაწილი) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.131; №01.14.06.004.002-ის ნაწილი) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №206 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიღმა (სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გზის მხარეს) საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ქალაქ თბილისში, ნაფეტვრებისაკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.131; №01.14.06.004.002-ის ნაწილი) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე; თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01230794279-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314555) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ქალაქ თბილისში, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.004.002-ის ნაწილი) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.004.002-ის ნაწილი) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №205 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ქალაქ თბილისში, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.004.002-ის ნაწილი) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა - 2

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ვ. სურგულაძე; ირ. ეძგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01223263143-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314561) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.28.217; №72.16.28.294; №72.16.28.258) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.28.217; №72.16.28.294; №72.16.28.258) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების

გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №208 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.28.217; №72.16.28.294; №72.16.28.258) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01223503235-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314558) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 07/052) (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.052) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 07/052) (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.052) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №207 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 07/052) (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.052) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01223611235-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314556) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის მიმდებარედ

არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.15.811; №72.16.23.938; №72.16.23.937; №72.16.23.219-ის ნაწილი; №72.16.23.936; №72.16.15.742; №72.16.23.980; №72.16.23.978; №72.16.23.977; №72.16.23.348-ის ნაწილი; №72.16.15.812; №72.16.15.808; №72.16.15.741; №72.16.23.979; №72.16.23.410; №72.16.15.907; №72.16.15.908; №72.16.15.909; №72.16.23.067; №72.16.23.068; №72.16.15.911; №72.16.33.144) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

„ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.15.811; №72.16.23.938; №72.16.23.937; №72.16.23.219-ის ნაწილი; №72.16.23.936; №72.16.15.742; №72.16.23.980; №72.16.23.978; №72.16.23.977; №72.16.23.348-ის ნაწილი; №72.16.15.812; №72.16.15.808; №72.16.15.741; №72.16.23.979; №72.16.23.410; №72.16.15.907; №72.16.15.908; №72.16.15.909; №72.16.23.067; №72.16.23.068; №72.16.15.911; №72.16.33.144) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №209 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიღმა სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.15.811; №72.16.23.938; №72.16.23.937; №72.16.23.219-ის ნაწილი; №72.16.23.936; №72.16.15.742; №72.16.23.980; №72.16.23.978; №72.16.23.977; №72.16.23.348-ის ნაწილი; №72.16.15.812; №72.16.15.808; №72.16.15.741; №72.16.23.979; №72.16.23.410; №72.16.15.907; №72.16.15.908; №72.16.15.909; №72.16.23.067; №72.16.23.068; №72.16.15.911; №72.16.33.144) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, საპროექტო ტერიტორიის მიღმა არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასოფლო სამეურნეო ზონის (სოფზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ემგვერაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

**რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 5 ივნისის **№12-032315638-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01230243872-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314564); №01230794279-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314555); №01223263143-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314561); №01223503235-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314558); №01223611235-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012314556)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

**მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე (მიმდინარე) საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 7 ივნისის №12-032315836-03 წერილი)

**სხდომის დღის წესრიგის მეოთხე (მიმდინარე) საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის №23.803.898 განკარგულებით, ასევე, დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №0123150487-67; №0123152646-67; №01231452986-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№0123150487-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მარო მაყაშვილის I შესახვევის №10, №8, №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.03.428; №81.02.03.433; №81.02.03.401) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზეზს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №81.02.03.428; №81.02.03.433; №81.02.03.401) სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 1-ელი ივნისის №01231523270 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით, არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №81.02.03.428; №81.02.03.433; №81.02.03.401 საკადასტრო ერთეულების მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მარო მაყაშვილის I შესახვევის №10, №8, №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.03.428; №81.02.03.433; №81.02.03.401) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** წინააღმდეგი - ვ. სურგულაძე; თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0123152646-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, გიორგი ნანეიშვილის ქუჩა №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.370.014) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

საპროექტო ნაკვეთის მესაკუთრეა შპს იტალიური სკოლა "ცისკარი". ნაკვეთის ფართი შეადგენს 3 258 კვ.მ.-ს. №01.72.14.370.014 საკადასტრო ერთეულზე მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საპროექტო არეალზე კერძო სკოლის მშენებლობა წარმოადგენს.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) არის სპეციალური ქვეზონა, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს. სპეციალურ ზონა 1-ზე (სპეცზ-1) დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, გიორგი ნანეიშვილის ქუჩა №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.370.014) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01231452986-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:

№01.14.06.010.001) მოთხოვნილია სატყეო ზონისა და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) საცხოვრებელი ზონა 4-ით (სზ-4) ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.14.06.010.001) პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 5 მაისის №01231562395 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა.

ამასთან, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორია ჩამოყალიბებული და განვითარებულია საცხოვრებელი ზონა 4-ის (სზ-4) ფარგლებში და შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებას არ გააჩნია ფრაგმენტული ხასიათი.

**კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით, მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილება, ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით, გადადებულ იქნას.**

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

(**შენიშვნა:** თავი შეიკავა - ირ. ეძგვერაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას** ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო უბანში არსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.010.001) სატყეო ზონისა და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) საცხოვრებელი ზონა 4-ით (სზ-4) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნის წინადადება **(№01231452986-67 განცხადება).**
2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 7 ივნისის **№12-032315836-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №0123150487-67; №0123152646-67)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე